# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 4

„27" იანვარი 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი კომპანიის ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი კომპანია არ ფუნქციონირებს და მიზანშეწონილია განხორციელდეს ზემოხსენებული უფუნქციო კომპანიების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ქმედებები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ბ" და „ე.თ" ქვეპუნქტების, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის $9^1$ მუხლის მე-5 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული, დანართით გათვალისწინებული, კომპანიების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიები

| # | ორგ-სამ ფორმა | ორგანიზაციის დასახელება | საიდენტიფიკაციო კოდი | რეგისტრაციის, იურიდიული და ფაქტიური მისამართები | საქმიანობის სახე და მიმართულებები | დამფუძნებლები / პარტნიორები / მფლობელები | მართვის სტრუქტურა (მ.შ. თუ გადაცემულია მართვის უფლებით) | აქტივობის მაჩვენებელი (მ.შ. გაკოტრების პროცესი) | ხელმძღვანელის პოზიცია, სახელი, გვარი | საკონტაქტო ინფორმაცია | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს | შპს მზიური კორტები | 404893585 | საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარედ | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი ზურაბ ურგებაძე | 593 31 00 01 | |
| 2 | შპს | შპს გლდანის საცურაო აუზი | 400061179 | საქართველო, თბილისი, გლდანი, V მ/რ, კორპუსი №8-ის მიმდებარედ | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი ზაზა ნოზაძე | 574 55 00 08 | |
| 3 | შპს | შპს თბილისის პორტალი | 204533004 | საქართველო, თბილისი მიცკევიჩის 29-29ა | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი თენგიზი გაჩეჩილაძე | 577 27 88 75<br>599 04 33 33 | მოძრავი ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით |
| 4 | შპს | შპს მთაწმინდის პარკის საბაგირო გზები | 404381209 | საქართველო, თბილისი, რუსთაველის გამზ. №52 | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი ეკა ურუშაძე | 590 91 80 00 | |

| # | ორგ-სამ ფორმა | ორგანიზაციის დასახელება | საიდენტიფიკაციო კოდი | რეგისტრაციის, იურიდიული და ფაქტიური მისამართები | საქმიანობის სახე და მიმართულებები | დამფუძნებლები / პარტნიორები / მფლობელები | მართვის სტრუქტურა (მ.შ. თუ გადაცემულია მართვის უფლებით) | აქტივობის მაჩვენებელი (მ.შ. გაკოტრების პროცესი) | ხელმძღვანელის პოზიცია, სახელი, გვარი | საკონტაქტო ინფორმაცია | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | შპს | შპს მთაწმინდის პარკი | 204547641 | საქართველო, თბილისი, ფუნიკულიორის ზედა ფერდობი | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი ეკა ურუშაძე | 591 91 80 00 | |
| 6 | შპს | შპს მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის სასახლე | 211334242 | საქართველო, თბილისი, კოსტავას №45 | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი მერაბ კეკელიძე | 599 55 95 68 | |
| 7 | შპს | შპს თბილისის ჩოგბურთი | 206121604 | საქართველო, თბილისი, ვერის პარკი | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი ლევანი რაზმაძე | 577 50 09 29 | |
| 8 | შპს | შპს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი | 202465992 | საქართველო, ქ. თბილისი, ქერჩის ქ., №8 | არ ფუნქციონირებს | ქ. თბილისის მერია 100% | მმართველობა ხორციელდება მერიის მიერ წილის შესაბამისად | არ ფუნქციონირებს | დირექტორი ზესიკ გულორდავა | 591 050 606 | მიმდინარეობს სასამართლო დავები |